ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო

მმართველთა საბჭო

მხოლოდ ოფიციალურ სარგებლობისთვის

წინასწარი დღის წესრიგის 4 ბ) პუნქტი

გარანტიები

ბ) გარანტიების შესახებ შეთანხმებათა დადება

<u>ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარანტიების გამოყენების თაობაზე საქართველოს რესპუბლიკასა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შეთანხმების დამატებითი ოქმი</u>

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ სააგენტოს აცნობა თავისი განზრახვა ხელი მოაწეროს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარანტიების თაობაზე თავისი შეთანხმების დამატებით ოქმს (შემდგომში „დამატებით ოქმად“ წოდებული). გარანტიების შესახებ შეთანხმების პროექტი განსახილველად და დასამტკიცებლად უნდა წარუდგინონ მმართველთა საბჭოს მის 1997 წლის სექტემბრის სესიას.

2. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამატებითი ოქმის პროექტის ტექსტის მიღების შესახებ სააგენტოს გენერალურ დირექტორს აცნობეს 1997 წლის 21 აგვისტოს და 1997 წლის 11 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გაგზავნილი წერილებით. 1997 წლის 11 სექტემბრის წერილში საქართველოს რესპუბლიკა აგრეთვე აცნობებს გენერალურ დირექტორს, რომ დამატებითი ოქმის ძალაში შესვლამდე საქართველო 17 მუხლის შესაბამისად დროებით საფუძველზე იყენებს მოცემულ ოქმს.

3. დამატებითი ოქმის პროექტი ეფუძნება ტიპური დამატებითი ოქმის ტექსტს, რომელიც მმართველთა საბჭომ მიიღო 1997 წლის 15 მაისს. დამატებითი ოქმის პროექტის ეგზემპლარს შეიცავს მოცემული დოკუმენტის დანართი.

4. ტიპური დამატებითი ოქმის ტექსტის სახელწოდებაში და პრეამბულის პირველ აბზაცში შეტანილია კორექტივები, რათა აისახოს, თუ როგორია საქმის ვითარება საქართველოს რესპუბლიკასთან დაკავშირებით. გარანტიების შესახებ

შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღი მითითებული იქნება ამ აბზაცში. 17 მუხლისათვის შერჩეულია პირველი ალტერნატიული ვარიანტი, ხოლო სათაური და ქვეპუნქტები უმნიშვნელოდ შესწორდა, რათა აისახოს დროებით საფუძველზე ამ ოქმის გამოყენება. ტექსტის არსში არავითარი შესწორება არ შეტანილა.

5. როგორც მმართველთა საბჭოსთვისაა ცნობილი, სააგენტო არ ეცდება დამატებითი ოქმების შესაბამისად მიღებული ინფორმაციის მექანიკურ ან სისტემურ შემოწმებას. შემოწმების მიზნით ამგვარი საქმიანობა არ უკავშირდება ისეთ რაოდენობრივ საზომს, როგორიცაა ბირთვული მასალების ინვენტარული რაოდენობა. ამასთან დაკავშირებით სამდივნოს არ შეუძლია წარმოადგინოს ყოველი დადებული დამატებითი ოქმის განხორციელების ზუსტი ხარჯთაღრიცხვა. ამასთან დაკავშირებით საქმიანობის მოცულობა დამოკიდებული იქნება იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც იღებენ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამატებითი ოქმის შესაბამისად სააგენტოსათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, აგრეთვე გარანტიების განსახორციელებლად გამოყოფილი ფინანსური სახსრების საერთო საბიუჯეტო ფარგლებში.

საბჭოს რეკომენდებული გადაწყვეტილება

6. რეკომენდებულია, რომ საბჭომ გენერალურ დირექტორს მიანიჭოს უფლებამოსილება, დადოს საქართველოს რესპუბლიკასთან და შემდგომში შეასრულოს დამატებითი ოქმი, რომელიც მოცემული ბარათის საგანს წარმოადგენს.

პ რ ო ე ქ ტ ი

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული გარანტიების გამოყენების თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შეთანხმების დამატებითი ოქმი

მხედველობაში იღებენ რა, რომ საქართველოს რესპუბლიკა (შემდგომში „საქართველოდ“ წოდებული) და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (შემდგომში „სააგენტოდ“ წოდებული) არიან ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარანტიების გამოყენების თაობაზე შეთანხმების (შემდგომში „გარანტიების შესახებ შეთანხმებად“ წოდებული) მონაწილენი, რომელიც ძალაში შევიდა...;

ითვალისწინებენ საერთაშორისო გაერთიანების სურვილს კიდევ უფრო განამტკიცოს ბირთვული გაუვრცელებლობის რეჟიმი სააგენტოს ქმედითობისა და გარანტიების სისტემის ეფექტიანობის ამაღლების გზით;

აღნიშნავენ, რომ გარანტიების განხორციელებისას სააგენტო უნდა ითვალისწინებდეს აუცილებლობას: თავიდან აიცილოს საქართველოს ეკონომიკური და ტექნიკური განვითარებისათვის ან სამშვიდობო ბირთვული საქმიანობის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობისათვის დაბრკოლებების შექმნა; შეასრულოს მოქმედი დებულებები ჯანმრთელობის დაცვის, უშიშროების, ფიზიკური დაცვის სფეროში, აგრეთვე ცალკეულ პირთა უსაფრთხოების სხვა ქმედითი მოთხოვნები და უფლებები; და მიიღოს კომერციულ, ტექნოლოგიურ და სამრეწველო საიდუმლოებათა, აგრეთვე სხვა იმ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ყოველგვარი ზომები, რომელიც მისთვის ცნობილი ხდება;

ითვალისწინებენ, რომ აღნიშნული ოქმით მითითებულ ღონისძიებათა განხორციელების სიხშირე და ინტენსიურობა შენარჩუნებული იქნება სააგენტოს ქმედითობისა და გარანტიების ეფექტიანობის ამაღლების მიზნის შესაბამის მინიმალურ დონეზე;

მოცემული ოქმით საქართველო და სააგენტო შეთანხმდნენ შემდეგზე:

მოცემული ოქმისა და გარანტიების შესახებ შეთანხმების ურთიერთკავშირი

მ უ ხ ლ ი 1.

გარანტიების შესახებ შეთანხმების დებულებები მოცემული ოქმის მიმართ გამოიყენება იმის კვალობაზე, თუ როგორ შეესაბამება ისინი მოცემული ოქმის დებულებებს და რამდენად მიესადაგება მათ. გარანტიების შესახებ შეთანხმების

დებულებებსა და მოცემული ოქმის დებულებებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევებში გამოიყენება მოცემული ოქმის დებულებები.

ინფორმაციის მიწოდება

მ უ ხ ლ ი 2.

ა. საქართველო სააგენტოს წარუდგენს განცხადებას, რომელშიც მოცემულია:

i) ზოგადი აღწერილობა და ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს ბირთვულ სათბობ ციკლთან დაკავშირებული იმ სამეცნიერო—კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულების ადგილს, რომლებიც არ არის დაკავშირებული ბირთვულ მასალებთან, რომლებიც ხორციელდება ამა თუ იმ ადგილას და რომლებსაც აფინანსებს საქართველო, სრულდება მისი კონკრეტული ნებართვით ან იგი უწევს კონტროლს ან ახორციელებს.

ii) სააგენტოს მიერ ქმედითობის ან ეფექტიანობის მოსალოდნელი ამაღლების საფუძველზე განსაზღვრულ და საქართველოსთან შეთანხმებული ინფორმაცია იმ დანადგარებზე და დანადგარების გარეთ მდებარეობის ადგილებში საექსპლუატაციო საქმიანობის გარანტიების შესახებ, სადაც ჩვეულებრივ გამოიყენება ბირთვული მასალა.

iii) ყოველ მოედანზე თითოეული შენობის ზოგადი აღწერილობა, მათ შორის მისი გამოყენება, და, თუ ეს საკმარისი არ არის, მისი შიგთავსის აღწერილობა. ეს აღწერილობა შეიცავს ასეთი მოედნის რუკას.

iv) მოცემული ოქმის შ დანართში მითითებულ საქმიანობასთან დაკავშირებული ყოველი მდებარეობის ადგილისათვის ოპერაციების მასშტაბის აღწერილობა.

v) ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს ურანის საბადოებისა და მამდიდრებელი დანადგარების და თორიუმის მამდიდრებელი დანადგარების ადგილმდებარეობას, საექსპლუატაციო მდგომარეობასა და შეფასებითს წლიურ საწარმოო სიმძლავრეებს და მთლიანად საქართველოსათვის ასეთი საბადოებისა და მამდიდრებელი დანადგარების წარმოების არსებულ წლიურ მოცულობას. საქართველო სააგენტოს მოთხოვნის პასუხად წარუდგენს მას მონაცემებს ცალკეული საბადოს ან მამდიდერებელი დანადგარის წარმოების არსებული წლიური მოცულობის შესახებ. ასეთი ინფორმაციის წარდგენა არ მოითხოვს ბირთვული მასალის დაწვრილებით აღრიცხვას.

vi) ინფორმაცია საწყისი მასალის შესახებ, რომელიც ჯერ არ არის ისეთი შემადგენლობის და სიწმინდის, რომელიც მას გამოსადეგს ხდის სათბობის დამზადებისათვის ან იზოტოპური გამდიდრებისათვის, მათ შორის:

ა) ასეთი მასალის რაოდენობა, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება ან სავარაუდო გამოყენება, მისი ბირთვული ან არაბირთვული გამოყენების მიუხედავად, საქართველოში ყოველი მდებარეობის ადგილისათვის, სადაც ასეთი მასალა არსებობს ათ მეტრულ ტონა ურანზე და (ან) ოც მეტრულ ტონა თორიუმზე მეტი ოდენობით, ხოლო სხვა მდებარეობის ადგილისათვის, ერთ მეტრულ ტონაზე მეტი ოდენობით — საერთო ოდენობით მთელი საქართველოსათვის, თუ ეს საერთო ოდენობა აღემატება ათ მეტრულ ტონა ურანს ან ოც მეტრულ ტონა თორიუმს. ამ ინფორმაციის მიწოდება არ მოითხოვს ბირთვული მასალის დაწვრილებით აღრიცხვას;

ბ) საქართველოდან კონკრეტული არაბირთვული მიზნებისათვის ასეთი მასალის ყოველი საექსპორტო მიწოდების რაოდენობა, ქიმიური შემალდგენლობა და დანიშნულების პუნქტი ისეთი ოდენობით, რომელიც აღემატება:

1) ათ მეტრულ ტონა ურანს, ან ერთი და იმავე სახელმწიფოში საქართველოდან ურანის თანამიმდევრული საექსპორტო მიწოდებისათვის, რომელთაგან თითოეული მიწოდება ათ მეტრულ ტონაზე ნაკლებია, მაგრამ რომელთა ჯამი წლის განმავლობაში ათ მეტრულ ტონას აღემატება;

2) ოც მეტრულ ტონა თორიუმს, ან ერთი და იმავე სახელმწიფოში საქართველოდან თორიუმის თანამიმდევრული საექსპორტო მიწოდებისათვის, რომელთაგან თითოეული მიწოდება ოც მეტრულ ტონაზე ნაკლებია, მაგრამ რომელთა ჯამი წლის განმავლობაში ოც მეტრულ ტონას აღემატება;

გ) საქართველოში კონკრეტული არაბირთვული მიზნებით ასეთი მასალის ყოველი იმპორტული მიწოდების რაოდენობა, ქიმიური შემადგენლობა, მოცემულ მომენტში ადგილმდებარეობა და გამოყენება ან სავარაუდო გამოყენება ოდენობით, რომელიც აღემატება:

1) ათ მეტრულ ტონა ურანს, ან საქართველოში ურანის თანამიმდევრული იმპორტული მიწოდებისათვის, რომელთაგან თითოეული მიწოდება ათ მეტრულ ტონაზე ნაკლებია, მაგრამ რომელთა ჯამი წლის განმავლობაში აღემატება ათ მეტრულ ტონას;

2) ოც მეტრულ ტონა თორიუმს, ან საქართველოში თორუმის თანამიმდევრული საიმპორტო მიწოდებისათვის, რომელთაგან თითოეული მიწოდება ოც მეტრულ ტონაზე ნაკლებია, მაგრამ რომელთა ჯამი წლის განმავლობაში ოც მეტრულ ტონას აღემატება;

იმის გათვალისწინებით, რომ არაბირთვული გამოყენებისათვის გამიზნული ასეთი მასალის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ არის საჭირო მას შემდეგ, რაც იგი მიაღწევს თავისი არაბირთვული გამოყენების საბოლოო ფორმას.

vii) ა) ინფორმაცია გარანტიების შესახებ შეთანხმების 36 მუხლის შესაბამისად გარანტიებისაგან გათავისუფლებული ბირთვული მასალის რაოდენობის, გამოყენების სახეობისა და ადგილმდებარეობის შესახებ;

ბ) ინფორმაცია გარანტიების შესახებ შეთანხმების 35 ბ) მუხლის შესაბამისად გარანტიებისაგან გათავისუფლებული ბირთვული მასალის რაოდენობის (რომელსაც შეიძლება ჰქონდეს შეფასების ფორმა) და ყოველ მდებარეობის ადგილზე გამოყენების სახეობათა შესახებ, მაგრამ ჯერ კიდევ არ იმყოფება არაბირთვული გამოყენებისათვის საჭირო საბოლოო ფორმაში იმ რაოდენობით, რომელიც აღემატება გარანტიების შესახებ შეთანხმების 36 მუხლში მითითებულ რაოდენობას. ასეთი ინფორმაციის მიწოდება არ მოითხოვს ბირთვული მასალის დაწვრილებით აღრიცხვას.

viii) ინფორმაცია აქტიურობის საშუალო ან მაღალი დონის იმ ნარჩენების ადგილმდებარეობის ან შემდგომი დამუშავების შესახებ, რომლებიც შეიცავს პლუტონიუმს, ზეგამდიდრებულ ურანს ან ურანს —233, რომელთა მიმართაც შეწყდა გარანტიების გამოყენება გარანტიების შესახებ შეთანხმების 11 მუხლის შესაბამისად. მოცემული პუნქტის მიზნებისათვის „შემდგომი დამუშავება“ არ შეიცავს შენახვის ან ჩამარხვისათვის ნარჩენების ხელახლა შეფუთვას ან მათ შემდგომ კონდიცირებას, რაც არ ითვალისწინებს ელემენტების განცალკევებას.

ix) შემდეგი ინფორმაცია იმ შეთანხმებული მოწყობილობისა და არაბირთვული მასალის შესახებ, რომლებიც ჩამოთვლილია შშ დანართში:

ა) საქართველოდან ასეთი მოწყობილობისა და მასალის ყოველი საექსპორტო მიწოდების თაობაზე: იდენტიფიკაცია, რაოდენობა, საგარაუდო გამოყენების ადგილი მიმღებ სახელმწიფოში და თარიღი ან შესაბამის შემთხვევებში საექსპორტო მიწოდების მოსალოდნელი თარიღი;

ბ) სააგენტოს კონკრეტული მოთხოვნით, საქართველო, როგორც იმპორტიორი სახელმწიფო, ადასტურებს სააგენტოსათვის ზემოხსენებული ა) პუნქტის შესაბამისად მიწოდებულ ინფორმაციას.

x) მომავალი ათწლიანი პერიოდისათვის ზოგადი გეგმები, რომლებიც უკავშირდება ბირთვული სათბობი ციკლის განვითარებას (მათ შორის ბირთვულ სათბობ ციკლთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს), როცა ისინი დამტკიცებულია საქართველოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ.

ბ. საქართველო ყოველ გონივრულ ძალისხმევას მიმართავს, რათა სააგენტოს წარუდგინოს შემდეგი ინფორმაცია:

i) ზოგადი აღწერილობა და ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს ბირთვულ სათბობ ციკლთან დაკავშირებული იმ სამეცნიერო—კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მიმდინარეობის ადგილს, რომლებიც არ არის დაკავშირებული ბირთვულ მასალასთან, და კონკრეტულად ეხება ბირთვული სათბობის გამდიდრებას, გადამუშავებას ან პლუტონიუმის, ზეგამდიდრებული ურანის ან ურანი 233—ს შემცველი საშუალო ან მაღალი დონის აქტიურობის ნარჩენების დამუშავებას, რაც ხორციელდება რაიმე ადგილას საქართველოში, მაგრამ

არ აფინანსებს საქართველო, არ დაურთავს კონკრეტული ნება ან არ აკონტროლებს, ანდა არ ხორციელდება საქართველოს სახელით. მოცემული პუნქტის მიზნისათვის საშუალო ან მაღალი დონის აქტიურობის ნარჩენების „დამუშავება“ არ გულისხმობს შენახვის ან ჩამარხვისათვის ნარჩენების ხელახლა შეფუთვას ან მათ კონდიცირებას, რაც არ ითვალისწინებს ელემენტების განცალკევებას.

ii) იმ პირის ან ორგანიზაციის საქმიანობის ზოგადი აღწერილობა და ცნობები მათ შესახებ, რომლებიც ახორციელებენ ასეთ საქმიანობას სააგენტოს მიერ განსაზღვრულ მდებარეობის ადგილებში მოედნის ფარგლებს გარეთ, რომლებიც, სააგენტოს აზრით, შეიძლება ფუნქციურად დაკავშირებული იყოს ამ მოედანზე საქმიანობასთან. ასეთი ინფორმაცია სააგენტოს მიეწოდება კონკრეტული მოთხოვნის შემთხვევაში. იგი მიეწოდება სააგენტოსათან კონსულტაციის საფუძველზე და დროულად.

გ. სააგენტოს მოთხოვნით საქართველო აზუსტებს ან განმარტავს ნებისმიერ ინფორმაციას, წარდგენილს მოცემული მუხლის შესაბამისად, იმდენად, რამდენადაც იგი უკავშირდება გარანტიების მიზნებს.

მ უ ხ ლ ი 3.

ა. საქართველო მოცემული ოქმის ძალაში შესვლიდან 180 დღის განმავლობაში სააგენტოს მიაწვდის ინფორმაციას, რომელიც მითითებულია მუხლში 2. ა. i), iii), iv), v), vi) ა), vii) და x) და მუხლში 2. ბ. i).

ბ. საქართველო ყოველი წლის 15 მაისამდე აწვდის სააგენტოს განახლებულ ინფორმაციას, რომელიც მითითებულია ზემოხსენებულ ა. პუნქტში, იმ პერიოდის შესახებ, რომელსაც მოიცავს წინა კალენდარული წელი. თუ ადრე მიწოდებული ინფორმაცია უცვლელია, საქართველო ატყობინებს ამის შესახებ.

გ. საქართველო ყოველი წლის 15 მაისამდე სააგენტოს აწვდის მუხლში 2. ა. vi) ბ) და გ) მითითებულ ინფორმაციას იმ პერიოდის შესახებ, რომელიც მოიცავს წინა კალენდარულ წელს.

დ. საქართველო ყოველკვარტალურად აწვდის სააგენტოს მუხლში 2. ა. ix) ა) მითითებულ ინფორმაციას. ეს ინფორმაცია მიეწოდება ყოველი კვარტალის დამთავრების შემდეგ სამოცი დღის განმავლობაში.

ე. საქართველო სააგენტოს აწვდის მუხლში 2. ა. viii) მითითებულ ინფორმაციას შემდგომი დამუშავების განხორციელებამდე 180 დღით ადრე და ყოველი წლის 15 მაისამდე ინფორმაციას ადგილმდებარეობის შეცვლის შესახებ იმ პერიოდში, რომელიც მოიცავს წინა კალენდარულ წელს.

ვ. საქართველო და სააგენტო თანხმდებიან მუხლში 2. ა. ii) მითითებული ინფორმაციის მიწოდების დროისა და სიხშირის თაობაზე.

ზ. საქართველო სააგენტოს აწვდის მუხლში 2. ა. ix) ბ) მითითებულ ინფორმაციას სააგენტოდან მოთხოვნის მიღების შემდეგ სამოცი დღის განმავლობაში.

დამატებითი ხელმისაწვდომობა

მ უ ხ ლ ი 4.

ქვემოთ მოხსენებული გამოიყენება მოცემული ოქმის 5 მუხლის შესაბამისად დამატებითი ხელმისაწვდომობის განხორციელებასთან დაკავშირებით:

ა. სააგენტო მიზნად არ ისახავს მექანიკურად ან სისტემატურად შეამოწმოს ინფორმაცია, რომელიც მითითებულია 2 მუხლში, მაგრამ სააგენტოსათვის ხელმისაწვდომია:

i) ნებისმიერი ადგილმდებარეობა, რომელიც მითითებულია მუხლში 5. ა. i) ან ii), შერჩევით საფუძველზე იმ მიზნით, რათა მტკიცედ დარწმუნდეს, რომ არ არსებობს მიუთითებელი ბირთვული მასალა ან საქმიანობა;

ii) ნებისმიერი ადგილმდებარეობა, რომელიც მითითებულია მუხლში 5. ბ. ან გ, იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც დაკავშირებულია 2 მუხლის შესაბამისად წარდგენილი ინფორმაციის უტყუარობასთან და სისრულესთან, ან ამ ინფორმაციასთან დაკავშირებული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად;

iii) ნებისმიერი ადგილმდებარეობა, რომელიც მითითებულია მუხლში 5. ა. iii) იმგვარად, როგორადაც ეს სჭირდება სააგენტოს, რათა გარანტიების მიზნებისათვის დაადასტუროს საქართველოს განცხადება დანადგარის ან დანადგარის გარეთ მდებარეობის ადგილის, როგორც ექსპულატაციიდან მოხსნილის სტატუსის შესახებ, სადაც ადრე ჩვეულებრივ იყენებდნენ ბირთვულ მასალას.

ბ. i) ქვემოთ მოყვანილ ii) პუნქტში მითითებული შემთხვევების გარდა, სააგენტო საქართველოს უგზავნის წინასწარ შეტყობინებას ხელმისაწვდომობის შესახებ სულ ცოტა 24 საათის განმავლობაში;

ii) მოედანზე ნებისმიერი ადგილის ხელმისაწვდომობის მიმართ, რომელიც მოთხოვნილია კონსტრუქციის შესახებ ინფორმაციის შემოწმებისათვის მისვლასთან ან სპეციალური მიზნით ინსპექციებთან ან ამ მოედანზე ჩვეულებრივ ინსპექციებთან ერთად, წინასწარი შეტყობინების ვადა, თუ სააგენტო გზავნის მოთხოვნას ამის თაობაზე, შეადგენს, სულ ცოტა, ორ საათს, თუმცა გამონაკლის შემთხვევებში, შეიძლება ორ საათზე მეტს შეადგენდეს.

გ. წინასწარი შეტყობინება იგზავნება წერილობითი სახით და მასში კონკრეტულად არის მითითებული ხელმისაწვდომობის მიზეზები და საქმიანობა, რომელიც უნდა განხორციელდეს ასეთი ხელმისაწვდომობის დროს.

დ. შეკითხვის ან შეუსაბამობის შემთხვევაში სააგენტო საქართველოს აძლევს შესაძლებლობას განმარტოს და ხელი შეუწყოს ამ საკითხის გადაწყვეტას ან ამ შეუსაბამობის აღმოფხვრას. ასეთი შესაძლებლობა მიეცემა ხელმისაწვდომობის შესახებ მოთხოვნის გაგზავნამდე, თუ სააგენტო არ ჩათვლის, რომ ხელმისაწვდომობის შეფერხებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მიზნებს, რომელთა გამოც მოთხოვნილია ეს ხელმისაწვდომობა. ნებისმიერ შემთხვევაში სააგენტოს არ

გამოაქვს რაიმე დასკვნები საკითხის ან შეუსაბამობის მიმართ მანამ, სანამ საქართველოს არ მიეცემა ასეთი შესაძლებლობა.

ე. თუ საქართველოსთან არ იქნა მიღწეული სხვაგვარი მორიგება, ხელმისაწვდომობა ხორციელდება მხოლოდ ჩვეულებრივი სამუშაო დღის განმავლობაში.

ვ. საქართველოს აქვს უფლება ხელმისაწვდომობის დროს სააგენტოს ინსპექტორებს გააყოლოს საქართველოს წარმომადგენლები იმ პირობით, რომ ეს არ შეაფერხებს ინსპექტორების მიერ თავიანთი ფუნქციების შესრულებას ან სხვაგვარად არ შეუშლის ხელს ამას.

მ უ ხ ლ ი 5.

საქართველო სააგენტოსათვის ხელმისაწვდომს ხდის:

ა. i) ნებისმიერ ადგილს მოედანზე;

ii) ნებისმიერ მდებარეობის ადგილს, რომელიც საქართველოს მიერ განსაზღვრულია 2. ა.v)–viii) მუხლის შესაბამისად;

iii) ნებისმიერ ექსპუატაციიდან მოხსნილ დანადგარს ან ექსპლუატაციიდან მოხსნილ მდებარეობის ადგილს დანადგარის გარეთ, სადაც ადრე ჩვეულებრივ გამოიყენებოდა ბირთვული მასალა.

ბ. ნებისმიერ მდებარეობის ადგილს, რომელიც საქართველოს მიერ განსაზღვრულია 2. ა. i) მუხლის, 2. ა. iv) მუხლის, 2. ა. ix) ბ) მუხლის ან 2. ბ. მუხლის შესაბამისად, იმათ გარდა, რომლებიც მითითებულია ზემოხსენებულ ა. i) პუნქტში, იმ პირობით, რომ, თუ საქართველოს არა აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს ასეთი ხელმისაწვდომლობა, მაშინ საქართველო მიმართავს ყველა გონივრულ მოქმედებას სხვა საშუალებების დახმარებით სააგენტოს მოთხოვნათა დაუყოვნებლივი დაკმაყოფილებისათვის.

გ. ნებისმიერ მდებარეობის ადგილს, სააგენტოს მიერ განსაზღვრულს, იმ მდებარეობის ადგილების გარდა, რომლებიც მითითებულია ზემოხსენებულ ა. და ბ. პუნქტებში, რათა აიღონ მდებარეობის კონკრეტულ ადგილას გარემოს სინჯები იმ პირობით, რომ, თუ საქართველოს არა აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს ასეთი ხელმისაწვდომობა, მაშინ საქართველო მიმართავს ყველა გონივრულ მოქმედებას, რათა დააკმაყოფილოს მდებარეობის მიმდებარე ადგილებში სააგენტოს მოთხოვნები ან გამოიყენოს სხვა საშუალებები.

მ უ ხ ლ ი 6.

5 მუხლის განხორციელებისას სააგენტომ შეიძლება აწარმოოს შემდეგი სახის საქმიანობა:

ა) 5. ა. i) ან iii) მუხლების შესაბამისად ხელმისაწვდომობისათვის: ვიზუალური დაკვირვება, გარემოს სინჯების აღება; რადიაციის აღმოჩენისა და გაზომვის ხელსაწყოების გამოყენება; დალუქვა და იდენტიფიკაციის და ჩარევის მაუწყებელი ისეთი სხვა დანადგარების გამოყენება, რომლებიც მითითებულია დამატებით დებულებებში; და სხვა ობიექტური ღონისძიებების გამოყენება, რომელთა ტექნიკური განხორციელება დადასტურებულია და რომელთა გამოყენება შეთანხმებულია მმართველთა საბჭოსთან (შემდგომში „საბჭოდ“ წოდებული) და სააგენტოსა და საქართველოს კონსულტაციების შედეგად.

ბ. 5. ა. ii) მუხლის შესაბამისად ხელმისაწვდომობის მიმართ: ვიზუალური დაკვირვება; ბირთვული მასალის სააღრიცხვო ერთეულების დაანგარიშება; ურღვევი გაზომვა და სინჯების აღება; რადიაციის აღმოჩენისა და გაზომვის ხელსაწყოების გამოყენება; სააღრიცხვო დოკუმენტების შესწავლა, რომლებიც ეხება მასალის რაოდენობას, წარმოშობასა და განლაგებას; გარემოს სინჯების აღება; და სხვა ობიექტური ღონისძიებების გამოყენება, რომელთა ტექნიკური განხორციელება დადასტურებულია და რომელთა გამოყენება შეთანხმებულია საბჭოსთან და სააგენტოსა და საქართველოს შორის კონსულტაციების შედეგად.

გ. 5. ბ. მუხლის შესაბამისად ხელმისაწვდომობის მიმართ: ვიზუალური დაკვირვება; გარემოს სინჯების აღება, რადიაციის აღმოჩენისა და გაზომვის ხელსაწყოების გამოყენება; გარანტიებთან დაკავშირებული საწარმოო და გასაგზავნი სააღრიცხვო დოკუმენტების შესწავლა; და სხვა ობიექტური ღონისძიებების გამოყენება, რომელთა ტექნიკური განხორციელება დადასტურებულია და რომელთა გამოყენება შეთანხმებულია საბჭოსთან და სააგენტოსა და საქართველოს შორის შემდგომი კონსულტაციების შედეგად.

დ. 5. გ. მუხლის შესაბამისად ხელმისაწვდომობის მიმართ: გარემოს სინჯების აღება და იმ შემთხვევაში, როცა შედეგები არ იძლევა 5. გ. მუხლის შესაბამისად სააგენტოს მიერ მდებარეობის ადგილში საკითხის გადაწყვეტის ან შეუსაბამობის აღმოფხვრის შესაძლებლობას, ამ მდებარეობის ადგილას ვიზუალური დაკვირვების, რადიაციის აღმოჩენისა და გაზომვის ხელსაწყოების გამოყენება და საქართველოსა და სააგენტოს შორის შეთანხმებით სხვა ობიექტური ღონისძიებების განხორციელება.

მ უ ხ ლ ი 7.

ა. საქართველოს თხოვნით სააგენტო და საქართველო თანხმდებიან მოცემული ოქმის ფარგლებში რეგულირებადი ხელმისაწვდომობის შესახებ, რათა თავიდან აიცილონ ბირთვული გავრცელების თვალსაზრისით მგრძნობიარე ინფორმაციის გამჟღავნება, შეასრულონ უსაფრთხოების ან ფიზიკური დაცვის მოთხოვნები ან უზრუნველყონ კერძო საკუთრებაში არსებული ან კომერციულად მგრძნობიარე ინფორმაციის დაცვა. ასეთი მორიგებანი ხელს არ უშლის სააგენტოს განახორციელოს საქმიანობა, რომელიც საჭიროა, რათა მტკიცედ დარწმუნდეს, რომ

არ არსებობს მიუთითებელი ბირთვული მასალა და საქმიანობა შესაბამის მდებარეობის ადგილას, მათ შორის ნებისმიერი ისეთი საკითხის გადაწყვეტას, რომელიც ეხება 2 მუხლში მითითებული ინფორმაციის უტყუარობასა და სისრულეს ან ამ ინფორმაციასთან დაკავშირებული შეუსაბამობის აღმოფხვრას.

ბ. საქართველოს შეუძლია 2 მუხლში მითითებული ინფორმაციის წარდგენისას, სააგენტოს აცნობოს ადგილი მოედანზე ან მდებარეობის ადგილი, რომლებზეც ვრცელდება რეგულირებადი ხელმისაწვდომობა.

გ. ნებისმიერი საჭირო დამატებითი დებულების ძალაში შესვლამდე საქართველოს შეუძლია მიმართოს ხელმისაწვდომობის რეგულირებას ზემოხსენებულ ა პუნქტში ჩამოყალიბებული დებულებების შესაბამისად.

მ უ ხ ლ ი 8.

მოცემულ ოქმში არაფერი არ უშლის ხელს საქართველოს უზრუნველყოს სააგენტოსათვის მდებარეობის ადგილების ხელმისაწვდომობა იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც მითითებულია 5 და 9 მუხლებში, ან სთხოვოს სააგენტოს განახორციელოს კონკრეტულ მდებარეობის ადგილზე შემოწმებითი საქმიანობა. სააგენტო დაუყოვნებლივ მიმართავს ყველა გონივრულ ძალისხმევას ამ თხოვნის შესაბამისად მოქმედების განხორციელებისათვის.

მ უ ხ ლ ი 9.

საქართველო უზრუნველყოფს სააგენტოსათვის იმ მდებარეობის ადგილების ხელმისაწვდომობას, რომლებიც სააგენტომ განსაზღვრა ვრცელ ტერიტორიაზე გარემოს სინჯების ასაღებად, იმ პირობით, თუ საქართველოს არა აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს ასეთი ხელმისაწვდომლობა, საქართველო მიმართავს ყველა გონივრულ მოქმედებას ალტერნატიულ მდებარეობის ადგილებში სააგენტოს მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. სააგენტო არ კრძალავს ასეთ ხელმისაწვდომობას მანამ, სანამ ვრცელ ტერიტორიაზე გარემოს სინჯების აღებას და ამის შესრულების საპროცედურო ღონისძიებებს არ მოიწონებს საბჭო და არ მოეწყობა სააგენტოსა და საქართველოს შორის კონსულტაციები.

მ უ ხ ლ ი 10.

სააგენტო საქართველოს აცნობებს:

ა. მოცემული ოქმის ფარგლებში გაწეულ საქმიანობას, მათ შორის ნებისმიერი საკითხის ან შეუსაბამობის მიმართ საქმიანობას, რომელიც სააგენტომ საქართველოს აცნობა, და ეს უნდა მოხდეს სააგენტოს მიერ ამ საქმიანობის განხორციელებიდან სამოცი დღის ფარგლებში.

ბ. ნებისმიერი საკითხის ან შეუსაბამობის მიმართ საქმიანობის შედეგებს, რომლებიც სააგენტომ აცნობა საქართველოს, და ეს უნდა მოხდეს რაც შეიძლება მალე, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში სააგენტოს მიერ ამ შედეგების მიღებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში.

გ. დასკვნებს, რომლებიც მან გამოიტანა მოცემული ოქმის შესაბამისად თავისი საქმიანობის შედეგად. ასეთი დასკვნების წარდგენა ყოველწლიურად ხდება.

სააგენტოს ინსპექტორთა დანიშვნა

მ უ ხ ლ ი 11.

ა. i) გენერალური დირექტორი საქართველოს აცნობებს იმის თაობაზე, რომ საბჭომ დაამტკიცა სააგენტოს ნებისმიერი თანამდებობის პირი როგორც გარანტიების ინსპექტორი. თუ საქართველო გენერალურ დირექტორს არ აცნობებს საქართველოსათვის ინსპექტორად ასეთი თანამდებობის პირის აცილების შესახებ საბჭოს მიერ დამტკიცების შესახებ შეტყობინების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში, ინსპექტორი, რომლის შესახებაც ამგვარად აცნობეს საქართველოს, საქართველოში დანიშნულად ითვლება;

ii) გენერალური დირექტორი, რომელიც მოქმედებს საქართველოს თხოვნის პასუხად ან საკუთარი ინიციატივით, დაუყოვნებლივ აცნობებს საქართველოს საქართველოსათვის ინსპექტორად დანიშნული ნებისმიერი თანამდებობის პირის გაწვევის შესახებ.

ბ. ზემოხსენებულ ა. პუნქტში მითითებული შეტყობინება საქართველოს მიერ მიღებულად ითვლება საქართველოსათვის სააგენტოს მიერ შევეთილი კორესპონდენციით ასეთი შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან შვიდ დღეში.

ვიზები

მ უ ხ ლ ი 12.

ამის შესახებ მოთხოვნის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში საქართველო ამ მოთხოვნაში მითითებულ დანიშნულ ინსპექტორს აძლევს მრავალგზის შესვლა—გასვლის და (ან) სატრანზიტო ვიზებს, რომლებიც საჭიროა, რათა ინსპექტორს ჰქონდეს შესაძლებლობა შევიდეს და იმყოფებოდეს საქართველოს ტერიტორიაზე თავისი ფუნქციების შესასრულებლად. ნებისმიერი მოთხოვნილი ვიზა მოქმედებს სულ ცოტა ერთი წლის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში განახლდება საქართველოში ინსპექტორის დანიშვნის პერიოდის მანძილზე.

დამატებითი დებულებანი

მ უ ხ ლ ი 13.

ა. იმ შემთხვევაში, როცა საქართველო ან სააგენტო აღნიშნავენ, რომ აუცილებელია დამატებით დებულებებში განისაზღვროს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მოცემულ ოქმში ჩამოყალიბებული ღონისძიებანი, საქართველო და სააგენტო ასეთ დამატებით დებულებებს ათანხმებენ მოცემული ოქმის ძალაში შესვლიდან ოთხმოცდაათი დღის განმავლობაში ან, იმ შემთხვევაში, როცა ასეთი დამატებითი დებულებების აუცილებლობის მითითება მიცემულია ამ ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ, – ასეთი მითითების თარიღიდან ოთხმოცდაათი დღის განმავლობაში.

ბ. ნებისმიერი საჭირო დამატებითი დებულებების ძალაში შესვლამდე სააგენტოს უფლება აქვს გამოიყენოს მოცემულ ოქმში ჩამოყალიბებული ღონისძიებანი.

კავშირის სისტემები

მ უ ხ ლ ი 14.

ა. საქართველო სააგენტოს ნებას რთავს თავისუფლად გამოიყენოს სამსახურებრივი მიზნებისათვის საქართველოში სააგენტოს ინსპექტორებსა და სააგენტოს ცენტრალურ დაწესებულებებს და (ან) რეგიონალურ ბიუროს შორის კავშირის სისტემები, მათ შორის არაავტონომიური ან ავტონომიური რეჟიმით ინფორმაციის გადაცემა, რომელიც მიღებულია სააგენტოს მიერ შენარჩუნების და (ან) დაკვირვების, ან გაზომვის მიზნით სააგენტოს მიერ დადგმული მოწყობილობიდან, და უზრუნველყოფს ასეთი კავშირის დაცვას. საქართველოსთან კონსულტაციების შემდეგ სააგენტოს უფლება აქვს გამოიყენოს საერთაშორისო დონეზე დადგმული პირდაპირი კავშირის სისტემები, მათ შორის სათანამგზავრო სისტემები და შორეული კავშირის სხვა სახეობანი, რომლებიც არ გამოიყენება საქართველოში. საქართველოს ან სააგენტოს თხოვნით დამატებით დებულებებში უნდა განისაზღვროს დეტალები, რომლებიც ეხება სააგენტოს მიერ დადგმული შენარჩუნების და (ან) დაკვირვების ან გაზომვის მოწყობილობებიდან მიღებული ინფორმაციის არაავტონომიური ან ავტონომიური რეჟიმის გადაცემის მიმართ ამ პუნქტის განხორციელებას.

ბ. კავშირის დამყარებისა და ინფორმაციის გადაცემისას, როგორც ეს გათვალისწინებულია ზემოხსენებული ა. პუნქტით, სათანადოდ უნდა იყოს გათვალისწინებული კერძო საკუთრებაში არსებული ან კომერციულად მგრძნობიარე ინფორმაციის ან კონსტრუქციის შესახებ იმ ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობა, რომელიც საქართველოს განსაკუთრებით მგრძნობიარედ მიაჩნია.

კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა

მ უ ხ ლ ი 15.

ა. სააგენტო უზრუნველყოფს კომერციული, ტექნოლოგიური და სამრეწველო საიდუმლოების და მისთვის ცნობილი სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის, მათ შორის ისეთი ინფორმაციის გამჟღავნებისაგან ეფექტიანი დაცვის მკაცრ რეჟიმს, რომელიც სააგენტოსათვის ცნობილი ხდება მოცემული ოქმის განხორციელებისას.

ბ. რეჟიმი, რომელიც ზემოხსენებულ ა. პუნქტშია მითითებული, შეიცავს, კერძოდ, დებულებებს, რომლებიც ეხება:

i) კონფიდენციალურ ინფორმაციასთან მოპყრობის ზოგად პრინციპებს და მათთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;

ii)კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული პერსონალის დაქირავების პირობებს;

iii) პროცედურებს კონფიდენციალობის დარღვევის შემთხვევაში ან ვითომდა დარღვევის შემთხვევაში.

გ. რეჟიმს, რომელიც მითითებულია ზემოხსენებულ ა პუნქტში, ამტკიცებს და პერიოდულად განიხილავს საბჭო.

დანართები

მ უ ხ ლ ი 16.

ა. მოცემული ოქმის დანართები მისი განუყოფელი ნაწილია. დანართებში შესწორებების შეტანის მიზნის გარდა ტერმინი „ოქმი“, როგორც იგი მოცემულ დოკუმენტში იხმარება, ნიშნავს ოქმს და დანართს, ერთად აღებულს.

ბ. I დანართში მითითებული საქმიანობის სახეობათა ნუსხაში და II დანართში მითითებული მოწყობილობისა და მასალის ნუსხაში საბჭოს შეუძლია შეიტანოს შესწორებები საბჭოს მიერ შექმნილი გახსნილი შემადგენლობის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებით. ნებისმიერი ასეთი შესწორება ძალაში შევა საბჭოს მიერ მისი მიღებიდან ოთხი თვის შემდეგ.

ძალაში შესვლა და დროებითი გამოყენება

მ უ ხ ლ ი 17.

ა. მოცემული ოქმი ძალაში შედის იმ დღეს, როცა სააგენტო საქართველოსაგან მიიღებს წერილობით შეტყობინებას იმის თაობაზე, რომ შესრულებულია საქართველოს საკანონმდებლო და (ან) საკონსტიტუციო მოთხოვნები, რომლებიც საჭიროა ძალაში შესვლისათვის. ძალაში შესვლამდე

მოცემული ოქმი დროებით საფუძველზე გამოიყენება იმ მომენტიდან, რაც მას ხელს მოაწერენ საქართველოს უფლებამოსილი წარმომადგენლები და სააგენტოს გენერალური დირექტორი ან ვინმე მისი სახელით.

ბ. გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს სააგენტოს წევრ ყველა სახელმწიფოს დროებით საფუძველზე მოცემული ოქმის გამოყენების შესახებ და მისი ძალაში შესვლის შესახებ ნებისმიერ განცხადებას.

განსაზღვრებანი

მ უ ხ ლ ი 18.

მოცემული მუხლის მიზნებისათვის:

ა. ბირთვულ სათბობ ციკლთან დაკავშირებული სამეცნიერო—კვლევითი და საცდელ—საკონსტრუქტორო სამუშაოები ნიშნავს საქმიანობას, რომელიც კონკრეტულად ეხება ნებისმიერი შემდეგი პროცესის ან სისტემის შემუშავების ყველა ასპექტს:

- ბირთვული მასალის კონვერსიას,
- ბირთვული მასალის გამდიდრებას,
- ბირთვული მასალის დამზადებას,
- რეაქტორებს,
- კრიტიკულ ანაწყობს,
- ბირთვული სათბობის გადამუშავებას,
- საშუალო ან მაღალი დონის აქტიურობის იმ ნარჩენების დამუშავებას (გარდა შენახვის ან ჩამარხვისათვის ხელახალი შეფუთვისა ან კონდიცირებისა, რაც არ ითვალისწინებს ელემენტების განცალკევებას), რომლებიც შეიცავს პლუტონიუმს, ზეგამდიდრებულ ურანს ან ურან-233-ს,

მაგრამ არ გულისხმობს საქმიანობას, რომელიც ეხება თეორიულ ან ფუნდამენტურ სამეცნიერო კვლევას ან სამეცნიერო—კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს რადიოიზოტოპების სამრეწველო გამოყენებაში, სამედიცინო, ჰიდროლოგიურ და სასოფლო—სამეურნეო გამოყენებაში, ჯანმრთელობასა და გარემოზე ზემოქმედების შედეგების შესწავლაში და ტექნიკური უზრუნველყოფის სრულყოფაში.

ბ. მოედანი ნიშნავს ტერიტორიას, რომლის საზღვრებს ადგენს საქართველო დანადგარის, მათ შორის გაჩერებული დანადგარის კონსტრუქციის შესახებ შესაბამის ინფორმაციაში, აგრეთვე დანადგარის გარეთ იმ მდებარეობის ადგილის შესახებ შესაბამის ინფორმაციაში, სადაც ჩვეულებრივ გამოიყენებოდა ბირთვული მასალა, მათ შორის დანადგარის გარეთ მდებარეობის დახურული ადგილის შესახებ, სადაც ადრე გამოიყენებოდა ბირთვული მასალა (რომლებიც შემოიფარგლება მდებარეობის ადგილებით, სადაც არის ცხელი კამერები ან ხორციელდება სათბობის კონვერსიასთან, გამდიდრებასთან, დამზადებასთან ან გადამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობა). მოედანი მოიცავს აგრეთვე ყველა ობიექტს,

რომლებიც განლაგებულია ზემოთ ნახსენებ დანადგართან ან მდებარეობის ადგილთან, რათა გადაეცეს ან გამოყენებული იქნეს უზრუნველყოფის არსებითი საშუალებები, მათ შორის: დასხივებული მასალების დამუშავების ცხელი კამერები, რომლებიც არ შეიცავს ბირთვულ მასალას; ნარჩენების დამუშავების, შენახვისა და ჩამარხვისათვის საჭირო დანადგარები; აგრეთვე საქართველოს მიერ ზემოხსენებული 2. ა. iv) მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ შეთანხმებულ საგნებთან დაკავშირებული შენობები.

გ. ექსპლუატაციიდან მოხსნილი დანადგარი ან ექსპლუატაციიდან მოხსნილი მდებარეობის ადგილი დანადგარის გარეთ ნიშნავს ობიექტს ან მდებარეობის ადგილს, სადაც დემონტირებულია ან ექსპლუატაციისათვის უვარგისად არის ქცეული მისი გამოყენებისათვის საჭირო კონსტრუქციები და მოწყობილობა, ისე, რომ არ გამოდგება ბირთვული მასალის შესანახად და ბირთვული მასალის გამდიდრებისათვის, მისი დამუშავების ან გამოყენებისათვის.

დ. გაჩერებული დანადგარი ან დახურული მდებარეობის ადგილი დანადგარის გარეთ ნიშნავს ობიექტს ან მდებარეობის ადგილს, რომელთა ექსპულატაცია შეწყვეტილია და საიდანაც ამოღებულია ბირთვული მასალა, მაგრამ რომლებიც არ არის მოხსნილი ექსპლუატაციიდან.

ე. ზეგამდიდებული ურანი ნიშნავს 20 პროცენტით გამდიდრებულ ან 235 ურანის იზოტოპზე მეტად გამდიდრებულ ურანს.

ვ. მდებარეობის კონკრეტულ ადგილზე გარემოს სინჯის აღება ნიშნავს სააგენტოს მიერ განსაზღვრულ მდებარეობის ადგილას ან მის უშუალო სიახლოვეს გარემოს სინჯების აღებას (მაგალითად, ჰაერის, წყლის, მცენარეულობის, ნიადაგის, დაბინძურების) იმ მიზნით, რომ სააგენტოს მიეცეს შესაძლებლობა მოამზადოს დასკვნები იმის შესახებ, რომ ამ გარკვეულ მდებარეობის ადგილას არ არსებობს მიუთითებელი ბირთვული მასალა ან არ წარმოებს ბირთვული საქმიანობა.

ზ. ვრცელ ტერიტორიაზე გარემოს სინჯების აღება ნიშნავს სააგენტოს მიერ განსაზღვრულ მთელ რიგ მდებარეობის ადგილებში გარემოს სინჯების აღებას (მაგალითად, ჰაერის, წყლის, მცენარეულობის, ნიადაგის, დაბინძურების) იმ მიზნით, რომ სააგენტოს მიეცეს შესაძლებლობა მოამზადოს დასკვნები იმის თაობაზე, რომ ვრცელ ტერიტორიაზე არ არსებობს მიუთითებელი ბირთვული მასალა ან არ წარმოებს ბირთვული საქმიანობა.

თ. ბირთვული მასალა წესდების XX მუხლში მოცემული განსაზღვრების თანახმად ნიშნავს ნებისმიერ საწყის მასალას ან ნებისმიერ სპეციალურ ხლეჩად მასალს. ტერმინი საწყისი მასალა არ უნდა იყოს გაგებული ისე, რომ მისი ხმარება შეიძლებოდეს მადანთან ან მადნის ნარჩენებთან დაკავშირებით. სააგენტოს წესდების ჩჩ მუხლის შესაბამისად საბჭოს მიერ მიცემული ნებისმიერი განსაზღვრება მოცემული ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ, რომელიც აფართოებს საწყისად ან სპეციალურად ხლეჩად მასალებად მიჩნეული მასალების ნუსხას, ძალაში შედის მოცემული ოქმის ფარგლებში მხოლოდ საქართველოს მიერ მიღების შემდეგ.

ი. დანადგარი ნიშნავს:

i) რეაქტორს, კრიტიკულ ანაწყობს, კონვერსიის ქარხანას, დამამზადებელ ქარხანას, გადამმუშავებელ დანადგარს, იზოტოპების განცალკევების დანადგარს ან ცალკე საცავს; ან

ii) ნებისმიერ მდებარეობის ადგილს, სადაც ჩვეულებრივ გამოიყენება ბირთვული მასალა ერთ ეფექტიან კილოგრამზე მეტი ოდენობით.

კ. დანადგარის გარეთ მდებარეობის ადგილი ნიშნავს ნებისმიერ ობიექტს ან ნებისმიერ მდებარეობის ადგილს, რომელიც არ არის დანადგარი, და სადაც ჩვეულებრივ გამოიყენება ბირთვული მასალა ერთი ეფექტიანი კილოგრამის ან ნაკლები ოდენობით.

შესრულებულია ვენაში 19_____ წლის ____ ორ ეგზემპლარად ინგლისურ და რუსულ ენებზე ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკისაგან:	ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსაგან: